



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: **38-3821279304**
 თარიღი: **06/10/2021**
 პინი: **3819**

ადრესატი: საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ბატონო კახა,

მიმდინარე წლის 16 ივლისის N01/1287 და 06 აგვისტოს N01/1406 წერილობითი მომართვებს პასუხად, გაცნობებთ, რომ ქალაქ რუსთავში მდებარე მიწის ნაკვეთზე **(ს/კ: 02.01.05.947)** ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ამ ეტაპზე, არ იგეგმება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. ამასთან, „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის შესაბამისად საკადასტრო ერთეული **(ს/კ: 02.01.05.947)** მდებარეობს **(საპროექტო) საცხოვრებელი ზონა 2 სექტორი 2-ში (სზ 2 სექტორი 2)**.

შემოაღნიშნული დადგენილების დანართი 3-ის IV მუხლის I პუნქტის მიხედვით: დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონა (სზ 2) წარმოადგენს საცხოვრებელი ზონის ერთგვაროვან ქვეზონას, სადაც დომინირებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. საცხოვრებელი ზონა (სზ 2) იყოფა ორ სექტორად: ა) სექტორი 1 ბ) სექტორი 2. სექტორი 2 მშენებლობის ნებადართული სახეობებია: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი; დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა; კვების და სავაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის განაშენიანებას; საოჯახო (არასამეწარმეო) საბაღე და საბოსტნე მეურნეობისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა (მათ შორის, ორანჟერეა და სათბური), სამეზობლო თმენისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით; მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს; რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი; სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება; საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი; ადმინისტრაციული ობიექტი; ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა. საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს: სასტუმრო; მცირე ზომის სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს და არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის; ოფისი. განაშენიანების პარამეტრების ცხრილის მიხედვით სამშენებლო პოტენციალის მქონე მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობია 300 მ², ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და სასტუმროებისთვის 400 მ².

მოგახსენებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემამდე აუცილებელია მომზადდეს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო კოდექსი“-ს 41-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული განაშენიანების დეტალური გეგმა.

რაც შეეხება, ჩვენს პოზიციას მიწის ნაკვეთის **(ს/კ: 02.01.05.947)** სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წარმოდგენილი ტერიტორიის **(ს/კ: 02.01.05.947)** პრივატიზების პროცედურები.

პატივისცემით,

ირაკლი ტაბაღუა

გამოყენებულია კვალიფიციური
 ელექტრონული ხელმოწერა/
 ელექტრონული შტამპი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ

